

დისკუსიაში გამოყენებულია ისეთი, ერთი შეხედვით, დაპირისპირებული ცნებები, როგორცაა „სტატიკური“ და „პროგრესული“ კულტურები, „პრაგმატიზმი“ და „ანტიპრაგმატიზმი“ იმ იმედით, რომ ეს დაგვეხმარება, კავკასიაში მიმდინარე მოვლენები დავინახოთ უფრო ფართო შედარებითი და დარგთაშორისი კონტექსტის გათვალისწინებით.

დამოწმებანი

- ბურკი 2004:** Burke, Peter. What is Cultural History? Cambridge: Polity, 2004.
- ვესტი... 2006:** West, Stuart A., Griffin, Ashleigh S., and Gardner, Andy. Social semantics: altruism, cooperation, mutualism, strong reciprocity and group selection. *Journal of Evolutionary Biology*, 20: 415-432, 2007.
- ნოღია 2000:** ნოღია, გია (რედ.). ქართული სუფრა და სამოქალაქო საზოგადოება, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბ., 2000.
- სტავროპოლოსი 1996:** Stavropoulos, Pam. The Politics of Culture. *Social Alternatives*, 15 (2): 33-35, 1996.
- ჯექსონი 2008:** Jackson, Peter. Pierre Bourdieu, the 'Cultural Turn' and the Practice of International History. *Review of International Studies*, 34:155-181, 2008.
- ჰარისონი... 2000:** Harrison, Lawrence & Huntington, Samuel (Eds.). *Culture Matters: How Values Shape Human Progress*. Basic Books, 2000.
- ჰერცფელდი 1997:** Herzfeld, Michael. Cultural Intimacy: Social Poetics in the Nation-State. New York: Routledge, 1997.

ნინო ციციშვილი

Stephen H. Rapp Jr. Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Contexts, Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 601, vol. 113. 522 gv. Louvain: In Aedibus Peeters, 2003.

[სტივენ ჰ. რაპი. უმცრ. კვლევანი შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში: ადრეული ტექსტები და ევრაზიული კონტექსტი, 522 გვ.]

ამერიკელი მკვლევრის სტივენ რაპის 522 გვერდიანი მონოგრაფია უდავოდ ერთ-ერთი საყურადღებოა იმ უცხოურ ქართველოლოგიურ ნაშრომთა შორის, რაც კი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გამოცემულა. ნაშრომის ძირითადი მიზანია გამოიკვლიოს შუა საუკუნეების საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიურ და ირანულ სამყაროსთან და დაადგინოს მისი ადგილი ევრაზიულ სივრცეში. ამისთვის ს. რაპი იკვლევს

და ინგლისურენოვან მკითხველს წარუდგენს ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლებს, მიმოიხილავს თანამედროვე მკვლევართა, როგორც ქართველების, ასევე უცხოელების მოსაზრებებს მათი დაწერის თარიღსა და შექმნის წინაპირობებთან დაკავშირებით.

როგორც მონოგრაფიის შესავალშია აღნიშნული, ეს მხოლოდ პირველი ნაწილია ტრილოგიისა, რომელიც ავტორს აქვს ჩაფიქრებული (ტრილოგიის მეორე ნაწილი მიეძღვნება ქართლის მოქცევას ქრისტიანობაზე, ქართული დამწერლობის შემოღებას და საეკლესიო ლიტურატურის დასაწყისს; მესამე ნაწილის მიზანი იქნება, წარმოაჩინოს საქართველოს პოლიტიკური ელიტის რეორიენტაცია თავდაპირველი ირანულიდან ბიზანტიურ სამყაროზე).

მონოგრაფია შედგება შესავლისგან, სამი ნაწილისა და სამი დამატებისგან. შესავალში მკვლევარი მკითხველს აცნობს *ქართლის ცხოვრებისა და მოქცევაჲ ქართლისაჲს* ხელნაწერებსა და გამოცემებს, მათ შემადგენელ ცალკეულ ტექსტებს, ვახუშტი ბატონიშვილის ღვაწლს ქართლის ცხოვრების დამუშავებაში; მიმოიხილავს საქართველოს თანამედროვე გეოგრაფიასა და ისტორიულ გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას; განმარტავს ორთოგრაფიის, ტრანსლიტერაციისა და ქრონოლოგიის შესახებ ავტორისეულ მიდგომებს. შესავალს ერთვის ვრცელი შემოკლებათა განმარტება და ბიბლიოგრაფია (50 გვერდზე).

წიგნის პირველი ნაწილის პირველი თავი ეთმობა *ქართლის ცხოვრების* პირველ წიგნს *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*. განხილულია ტექსტის ხელნაწერები, გამოცემები და თარგმანები. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ტექსტის წყაროებზე, რომელთა შორის მონოგრაფიის ავტორი განიხილავს *მეფეთა ცხოვრების ქართულ, ირანულ, ბერძნულ და სომხურ წყაროებს*; ასევე შესაძლო სირიული, ბერძნულ-რომაული და ბიზანტიური წყაროების გავლენას, მათ შორის, ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ; ეხება ლეონტი მროველის ვინაობის გამოცანას (*enigma*). აღნიშნული თავის ბოლოს ავტორი დაასკვნის, რომ *ქართველ მეფეთა ცხოვრების* შექმნა უნდა დათარიღდეს ბაგრატიდ აშოტ I-ს ტახტზე ასვლამდე, ანუ 813 წლამდე. არგუმენტები ამგვარია: ტექსტში არ იხსენიებიან ბაგრატიონები; *ეგრისი* და *აფხაზეთი* სინონიმებია და დასავლეთ რეგიონის ეპონიმი არის *ეგროსი* და არა „აფხაზოსი“; ძალიან ცოტა და ბუნდოვანი ინფორმაციაა დასავლეთ რეგიონზე, ანუ ეგრისზე; ანაქრონისტულად მოხსენიებული ხაზარების თემა აქტუალური იყო სწორედ ამ პერიოდში; საქართველოს ისტორია წარმოჩენილია ირანულ კონტექსტში და ირანული სახეებით. *მეფეთა ცხოვრება* უნდა შექმნილიყო „წინაბაგრატიდულ ეპოქაში, აფხაზეთის სამეფოს დაარსების დროს, მაგრამ აშოტის ტახტზე ასვლამდე“, – ასკვნის ავტორი.

პირველი ნაწილის მეორე თავი ეხება ჰაოსისა და ქართლოსის მითის ევოლუციას. ავტორი განიხილავს ჰაიკის პერსონაჟს ჯერ სომხურ და შემდეგ ქართულ ტრადიციაში, რის შემდეგაც ცდილობს აჩვენოს მითის ევოლუცია. ს. რაპი მიიჩნევს, რომ ჰაიკის სომხურმა ლეგენდამ განვითარება ჰპოვა

ადრეულ ქართულ კოსმოპოლიტურ ტრადიციაში, თუმცა შემდგომში, მე-18 და მე-19 საუკუნეებში ადგილი ჰქონდა ექსტრემალურ და აგრესიულ პაროქიალიზმს, რაც ქართლის ცხოვრების გვიანდელ გადამწერთა მიერ ტექსტის „ვანდალურ“ ჩასწორებაში გამოიხატა.

პირველი ნაწილის მესამე თავი ეთმობა ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ტექსტს, ამ მეფის ზეობას და დროს. აქაც ავტორი უშუალოდ ამახვილებს ირანული სახეების სიჭარბზე ტექსტში, იხილავს მის შესაძლო წყაროებს და გავლენებს: ცხოვრება სპარსთა, ჰერმეს ტრისმეგისტოსი, სომხური გავლენები, ნებროთის წიგნი და სხვა ქართული წყაროები. ს. რაპი ასკვნის, რომ ვახტანგ გორგასლის ცხოვრება შედგება მისი ძირითადი ნაწილისა და გაგრძელებისგან (ფსევდო-ჯუანშერი), რომლებიც ეკუთვნიან ორ სხვადასხვა ანონიმ ავტორს და რომ ისინი უნდა შექმნილიყო წინა-ბაგრატიდულ ხანაში, 790 და 813 წლებს შორის.

მონოგრაფიის მეორე ნაწილი შედგება ორი თავისგან, რომელთაგან პირველი იხილავს მოქცევაჲ ქართლისაჲს დასაწყის ისტორიას (Primary History) და ქართლის მეფეთა სიას აზოდან მირიანის (პირველი ქრისტიანი მეფე) ჩათვლით (რაპის თანახმად); წიგნში მოცემულია შესაბამისი ტექსტის ქართული ორიგინალი პარალელური ინგლისური თარგმანით, რომელსაც დართული აქვს მონოგრაფიის ავტორის კომენტარები.

მეორე ნაწილის მეორე თავი ეხება მეფე-ერისთავთა სიებს მირიანის შემდგომი მეფიდან – ბაკურიდან სტეფანოზ გუარამის ძემდე და ჰერაკლე კეისრის ქართლში ლაშქრობის ამბამდე და ადარნესე ერისთავიდან ბოლო ერისთავამდე და კათალიკოსების ჩათვლით. ამ შემთხვევაშიც ქართულ ორიგინალსა და ინგლისურ თარგმანს ერთვის ავტორის კომენტარები. უნდა აღინიშნოს, რომ მეფეთა სიების კომენტარებისას ს. რაპი მთლიანად ეურდნობა კ. თუმანოვის ქრონოლოგიას.

ნაშრომის მესამე ნაწილი ორ თავად განიხილავს საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საკითხს. ამისათვის ავტორი პირველ თავში იკვლევს სუმბატ დავითისძის თხზულებას ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა: ავტორის იდენტიფიკაციას და თხზულების დაწერის დროს, წყაროებსა და წინაბაგრატიდულ ისტორიოგრაფიასთან კავშირს; მიმოიხილავს თხზულების ხელნაწერებს; მოჰყავს ტექსტის ინგლისური თარგმანი (ქართული ორიგინალის გარეშე), რომელსაც დართული აქვს ვრცელი კომენტარები.

იმავე ნაწილის მეორე თავში ავტორი მიჰყვება თეორიულ მსჯელობას და განიხილავს ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორცაა ქართველთა გაერთიანების ისტორია ბაგრატიონთა ხანაში, საქართველოს „ოქროს ხანა“, ტერმინ „საქართველოს“ გაჩენის დრო და პირობები და ქართველთა თვითიდენტიფიკაცია. აღნიშნული თავი გარკვეულწილად აჯამებს წინა თავების კვლევების შედეგად მიღებულ მოსაზრებებს.

მონოგრაფიის ბოლოს დამატებებში განხილულია ნაწევრები მხითარ აირივანეცის ისტორიიდან (დამატება I), რომლებიც ეხება მკვლევრისთვის

საინტერესო თემებს, არჩილის წამება (დამატება II) და აფხაზთა მეფეთა დივანი (დამატება III).

ბოლოს უნდა ითქვას, რომ ამ მცირე რეცენზიის ფარგლებში შეუძლებელია ჩამოთვალო ნაშრომის ყველა ღირსება და ნაკლი, მაგრამ შევეცდები მათგან უურადლება გავამახვილო რამდენიმეზე, რომელიც მკითხველისთვის უინტერესო არ იქნება.

სტივენ რაპის მონოგრაფიის უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს დასკვნა მეფეთა ცხოვრებისა და ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ადრეული დათარიღების შესახებ. მართლაც, ეს თხზულებები არ შეიძლება დათარიღდეს 800 წელზე გვიანი დროით. ამას მკვლევარი შესანიშნავად ასაბუთებს და იქვე აღნიშნავს (თუმცა გაკვრით), რომ მანამდე ასეთივე მოსაზრებები გამოთქმეს კ. თუმანოვმა, მ. ჯანაშიელმა, პ. ინგოროყვამ, მ. სანაძემ. მიუხედავად ამისა, უკმარისობის გრძნობას იწვევს ამ თხზულებათა ქვედა ზღვრად 790 წლის (აფხაზთა სამეფოს შექმნა) მიჩნევის არასაკმარისი არგუმენტაცია.

ავტორი შესავალშივე იყენებს და შემდგომ გვერდებზეც არაერთხელ იმეორებს უჩვეულო ტერმინებს „ქართველი ხალხები“ (Georgian peoples) და „სხვადასხვა ქართველი ხალხები“ (various Georgian peoples).

სრულიად გაუგებარია ტერმინი „ეთნიკურობაზე დაფუძნებული საქართველოს „ეროვნული“ ეკლესია“ (ethnically-based Georgian „national“ church), როდესაც ავტორი მსჯელობს შუა საუკუნეებზე. განსხვავებით მონოფიზიტური სომხური, სირიული, კობტური ეკლესიებისაგან, მართლმადიდებელი ეკლესია არასდროს ყოფილა დაფუძნებული ეთნიკურობაზე. ფილექტიზმის გამოვლინებები ეს ახალი დროის ნაყოფია და მართლმადიდებელი ეკლესია მას გმობს, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად ახერხებს ამ გამოვლინებებთან გამკლავებას.

ავტორს ბოლოუტურად უმართებულოდ შემოაქვს ხმარებაში ტერმინები „ქართლი ლტოლვილებში“ (Kartli-in-exile) და „ნეო-ქართლი“ (neo-Kartli) ტაოს რეგიონის მიმართ. ამ შემთხვევაში იგი ბრმად ქმნის კ. თუმანოვის ტერმინის ანალოგს, რომელმაც კილიკიის სომხური სამეფოს მიმართ შემოიღო ტერმინი „არმენია ლტოლვილებში“ (Armenia-in-exile) და „ნეო-არმენია“ (neo-Armenia). თუმანოვის მიერ შემოღებულ ტერმინს თავისი ლოგიკური საფუძველი აქვს, რადგან კილიკია არასოდეს ყოფილა სომხური ქვეყანა და, მით უმეტეს, არც სომეხთა ისტორიული სამშობლო, მაგრამ ტაოში ქართველური ტომების სახეობა უხსოვარი დროიდან დღემდე ეჭვჭვეშ არავის დაუყენებია. ამდენად, გაუმართლებელია ტაოს ეწოდოს „ნეო-ქართლი“ ან „ქართლი ლტოლვილებში“.

განცვიფრებას იწვევს ავტორის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველთა, როგორც ევროპელთა, თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთი წინაპირობა თურმე „აღმოსავლეთის“ მარქსისტულ-ლენინისტური კრიტიკა ყოფილა. საინტერესო იქნება, თუ სადმე, რომელიმე სხვა ნაშრომში ავტორი გაშლის ამ თემას და უკეთესად ახსნის, თუ რისი თქმა სურდა.

ავტორი ქართველთა გაქრისტიანების თარიღად ასახელებს მოძველებულ 337 წელს, როდესაც უახლოესი გამოკვლევებით დადგენილია, რომ ქართველთა ნათლობა მოხდა 326 წელს.

გაოცებას იწვევს ავტორის „მიგნება“, თითქოს მირიანის ქრისტიანობაზე მოქცევის ერთ-ერთი მიზეზი მისი გამჭრიახობა ყოფილიყოს, შეეჯახებინა ერთი დიდი ძალა (რომის იმპერია) მეორესთან (სპარსეთთან).

ავტორის მტკიცებით, არაბებისგან ისლამიზაციის შიშით ტაოში, კლარჯეთში, შავშეთსა და ჯავახეთში ემიგრირებული ქართული ელიტა, სასულიერო პირთა ჩათვლით, პირდაპირ შეხებაში აღმოჩნდა იქ უკვე მაცხოვრებელ სომხებსა და მეზობელ ბიზანტიელებთან, რამაც წარმოშვა შესანიშნავი ქართული კულტურა. საინტერესოა, დაისვას კითხვა, იმავე მეზობლობის მიზეზით რატომ არ შეიქმნა შესანიშნავი სომხური კულტურა ტაოს, კლარჯეთის, შავშეთისა და ჯავახეთის ტერიტორიაზე ქართველთა იქ გამოჩენამდე?

კირილ თუმანოვის წარმოშობასთან დაკავშირებით ავტორი წერს, რომ იგი ყოფილა ძველი სომხურ-ქართული წარჩინებული საგვარეულოდან (old Armeno-Georgian noble house) – Tumaniani, Tumanishvili. საინტერესოა, რომ იმ სტატიაში, საიდანაც ეს ფორმულირება (სომხურ-ქართული საგვარეულო) აიღო ავტორმა, წერია, რომ საგვარეულო მოვიდა კილიკიიდან და დასახლდა საქართველოში დაახლ. 1250 წელს. 7 საუკუნის განმავლობაში თუმანიშვილთა საგვარეულო ჩამოყალიბდა ქართულ თავადურ საგვარეულოდ და არსად ისინი არ არიან მოხსენიებულნი, როგორც Tumaniani. გარდა ამისა, სომხური გვარი თუმანიანი არ მიეკუთვნება წარჩინებულთა შტოს და კავშირი არა აქვს თუმანიშვილებთან, გარდა სახელის უბრალო დამთხვევისა.

გაკვირვებას იწვევს ავტორის თვალსაზრისი, თითქოსდა ქართველთა სამეფო კარი (Kartvelian and then Georgian court), ჩვეულებრივ, მობილური იყო და ამიტომ საეჭვოა, რომ ოდესმე სამეფო არქივი არსებულებო. როგორც ჩანს, ავტორს ქართველთა სამეფო მომთაბარე ტომთა სამეფოდ ჰყავს წარმოდგენილი.

ასევე უცნაურია ავტორის მიდგომა ქართლის ცხოვრების ხელნაწერთა მიმართ, როდესაც პირველ ადგილზე აყენებს მის სომხურ თარგმანს შემორჩენილი ხელნაწერის სიძველის ნიშნით, ხოლო ქართულ ხელნაწერებს უწოდებს ქართულენოვან ვერსიას (Georgian-language version, Georgian-language variant). ავტორს შევახსენებთ, რომ ამ შემთხვევაში ხელნაწერის ასაკთა შორის განსხვავება კი არ არის გადამწყვეტი, არამედ ის, თუ რომელ ენაზე შეიქმნა ესა თუ ის თხზულება. სომხური ვერსია თარგმანია და მას სწორედაც რომ ვერსია ან ვარიანტი უნდა ეწოდოს, განსხვავებით ქართული დედნისაგან. შესაბამისად, მნიშვნელობის მხრივ ქართული დგას წინ, ვიდრე მისი შუასაუკუნეობრივი სომხური თარგმანი, ვერსია. ნათელია, რომ არავის მოუვა აზრად, სამეცნიერო თვალსაზრისით უკანა პლანზე დააყენოს ძველი აღთქმის ებრაული ტექსტები იმის გამო, რომ მათი ბერძნული თარგმანი უფრო ძველი ხელნაწერებითაა შემონახული.

ქართველი ერის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ საქართველო მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მხოლოდ 200 წლის განმავლობაში იყო გაერთიანებული და ლიხსიჭითა და ლიხსაქეთა საქართველო სხვადასხვა გზებით ვითარდებოდა. აქ არ დავიწყებ საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანას, რეცენზიის ფორმატიდან გამომდინარე, მხოლოდ შევასხენებთ ავტორს, რომ მეზობელ სომხებს ერთიანი სამეფო არ ჰქონიათ მე-4 საუკუნიდან, მაგრამ ამ ფაქტს მათი თვითიდენტიფიკაციისათვის ხელი არ შეუშლია; გერმანელი ერი მხოლოდ მე-19 საუკუნეში გაერთიანდა, ხოლო ებრაელი ერი 20 საუკუნეა, გაფანტული ცხოვრობს.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ ავტორი რამდენჯერმე საგულდაგულოდ ამახვილებს ყურადღებას ქართულ „პატრიოტიზმზე“, ნაციონალიზმზე და შოვინიზმზეც კი, მოყოლებული მე-18 საუკუნიდან. მე-19 საუკუნის შუაწლებში წარმოქმნილი ტერმინებით მე-18 საუკუნის ქართველის საქციელის შეფასება, ცოტა არ იყოს, ღიმილისმომგვრელია, რადგან ეს იგივეა, რომ მე-18 საუკუნის მეურმე ქუჩაში მოძრაობის თანამედროვე წესების დარღვევის გამო გავკიცხოთ. (მართალია, ეს ცნებები მე-19 საუკუნისაა, მაგრამ თავად მოვლენა შეიძლება არსებულიყო, რომელსაც შემდეგ დაერქვა თავისი სახელი).

ეს არის მხოლოდ მცირე ნაწილი იმ საკამათო და საეჭვო საკითხებისა, რომლებსაც განსახილველი მონოგრაფია აღძრავს. ვფიქრობ, რომ სტივენ რაპის ნაშრომი ქართველ მკვლევართა სათანადო ყურადღებას დაიმსახურებს.

ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი